ოქმი:**ო63. 6325338001**
თარიღი:**04/12/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე

მუნიციპალური საბჭოს სხდომის

ოქმი N1

სამტრედია

21 ნოემბერი, 2025 წელი.

15:00 სთ.

2025 წლის, 21 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარის, ნათია პაპავას ხელმძღვანელობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა , ირაკლი მელაშვილი, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, ჯონი თევზაძე, რუსუდან კვანტალიანი, იზოლდა ნადირაძე, სოფიო კირთაძე, ლევან გაბეჩავა, სოფიკო ახობაძე, თამილა კეკელიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, წარმატებები უსურვა ახალ შემადგენლობას, რომელიც საკრებულოს უფლებამოსილების ვადითაა შექმნილი და წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სახელობითი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ.

/ მომხსენებელი - ნათია პაპავა/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე

მუნიციპალური საბჭოს დებულების გაცნობის შესახებ.

/ მომხსენებელი - ნათია პაპავა/

3. სხვადასხვა.

პროექტის ირგვლივ, შენიშვნები არ ყოფილა.

კანჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 15-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (15 ხმა), დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ (სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №12 დადგენილება (2025 წლის 9 ივლისი)), მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა და შეიქმნა საბჭოს შემადგენლობა, დანართი N1-ის შესაბამისად.

/ დანართი N1, ოქმს თან ერთვის/

ინფორმაცია მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ, II საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა ნათია პაპავამ აღნიშნა, რომ წინა მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების დროს, 4 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ,,სამტრედიის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს“, რომელსაც 2025 წლის 2 აპრილს, კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე შეცვალა სახელწოდება და ეწოდა ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №12 დადგენილებით (2025 წლის 9 ივლისი), დამტკიცდა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება“.

მომხსენებელმა, საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო: საბჭოს ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილება; საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა; საბჭოს ხელმძღვანელობა და მუშაობის წესი; საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის უფლება-მოვალეობები; საბჭოს ვალდებულებები.

ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების გაცნობის შესახებ, მიღებულია ცნობად.

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის შესახებ, რომელიც იწყება 25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღით და სრულდება 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს. საბჭოს წევრები, ტრადიციულად წელსაც შეუერთდებიან აღნიშნულ კამპანიას.

სხდომის დასასრულს, ნათია პაპავამ აღნიშნა, რომ ,,უნდა დავიწყოთ მუშაობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ეყრდნობა საქართველოს

კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპებს ქალთა და კაცთა თანასწორობისა და ბავშვთა ინტერესების დაცვის შესახებ, საქართველოს კანონს „ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, ასევე საქართველოს კანონს „ბავშვის უფლებათა კოდექსი”.

გეგმის მიზანია, ხელი შეუწყოს ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმების ინტეგრაციას ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში, გააძლიეროს თანასწორობის, ჩართულობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალიზება მუნიციპალიტეტის დონეზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

საბჭოს მდივანი: / თამილა კეკელიძე /

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა
საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა
საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი